

პროექტი: ქუთაისი, ეს მუშაობს!”

პროექტის შეფასების ანგარიში

*აგვისტო
2016 წელი*



პროექტი: ქუთაისი, ეს მუშაობს!

ფინანსური მხარდაჭერა: ევროკავშირი

პროექტი განხორციელდა ქ.ქუთაისის მერიის მიერ ადგილობრივ არასამთავრობო
ორგანიზაციებთან პარტნიორობით

პროექტის შეფასების ანგარიში

მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ

დამოუკიდებელი შემფასებელი: ანნა ქათამიძე

აგვისტო, 2016 წელი

შინაარსი

პროექტის მოკლე აღწერა	3
შეფასების მეთოდოლოგია	5
შეფასების შედეგები.....	7
პროექტის მიზანი და ამოცანები	7
მოსალოდნელი შედეგები და დაგეგმილი საქმიანობების შესრულება.....	9
მოსალოდნელი შედეგების მიმოხილვა	9
ძირითადი საქმიანობების შეფასება.....	11
პარტნიორობა განმახროციელზე ორგანიზაციებს შორის.....	20
პროექტის მდგრადობა	20

პროექტის მოკლე აღწერა

პროექტი „ქუთაისი, ეს მუშაობს!“ ადგილობრივი თვითმმართველობის და ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტია. მის ფარგლებში საზოგადოების ჩართულობით, მათი სურვილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ქალაქის ბიუჯეტის მიღება. ამ ინიციატივის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა მოსახლეობის ჩართულობას ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში; მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საკითხები განისაზღვრას საზოგადოებრივი ფორუმების გამოყენებით.

პროექტით: ქუთაისი ეს მუშაობს (ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირი) გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 2014 წლის ნოემბრის თვეში, მაგრამ ქალაქში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, რაც გამოწვეული იყო ქალაქში მერების ხშირი ცვლით, ვერ მოხერხდა პროექტის სამართლებრივ ჩარჩოში მოთავსება. პროექტი „ქუთაისი, ეს მუშაობს!“ ურთიერთვალდებულებითი ხელშეკრულება გაფორმდა დაგვიანებით 18 დეკემბერს 2013 ევროკავშირის ელჩთან საქართველოში ფილიპ დიმიტროვსა და ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელთან შოთა მურდულიას შორის.

დაგვიანდა რა პროექტის სამართლებრივ სფეროში მოქცევა, შესაბამისად სამუშაოები დაიწყო დაგვიანებით. პროექტის პრეზენტაცია გამიმართა 2014 წლის 5 მარტს.

პროექტით განსაზღვრული იყო სამი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის როლი და მოვალეობები, შესაბამისად 2013 მარტში ქუთაისის მერის მოვალეობს შემსრულებელ შოთა მურდულიას და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები. ეს ორგანიზაციებია:

- „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“
- „ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი“
- „ლიბერალური დემოკრატიის განვითარების ცენტრი“

პროექტის ძირითადი მიზანია გაუმჯობესებული მთავრობა და საზოგადო ფინანსური მმართველობის მხარდაჭერა ქუთაისში გამჭირვალე ბიუჯეტით, საზოგადო პოლიტიკით და მმართველობის სერვისებით რომელიც საზოგადოების საჭიროებებზე, საზოგადოებრივი ლიდერების, სამოქალაქო ჯგუფების, ადგილობრივი მოქალაქეების, მედიის და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობაზე და ჩართულობაზე იქნება მორგებული. ეს ჯგუფი იმუშავებს ერთად, რათა განსაზღვროს და გაასაჯაროოს რეკომენდაციები, ბიუჯეტი და მისი ხარჯვა, რათა უზრუნველყოს შესაბამისი სისტემის შექმნა რომელსაც ქუთაისის სამოქალაქო საზოგადოება განხორციელებს და გაუწევს მონიტორინგს.

პროექტის კონკრეტულ ამოცანებად განისაზღვრა:

- ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების გადამზადება, რათა უფრო ეფექტურად ითანამშრომლონ მოქალაქეებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომ ერთობლივად მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში.
- სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედიის უნარების ამაღლება სამიზნე ჯგუფების იტერესების უკეთ გამოხატვის მიზნით.
- მოსახლეობის უნარჩვევების გაძლიერება და ამაღლება მათი საზოგადოებრივ განხილვებში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.
- შედეგზე ორიენტირებული დიალოგის ხელშეწყობა მოსახლეობის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ამ უკანასკნელის ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით

პირეტის სამიზნე ჯგუფებია:

- ქუთაისის ხელისუფლება
- პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები
- ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები
- მოქალაქეები
- მედია წარმომადგენლები

პროექტის ლოგიკური ჩარჩოს დოკუმენტით განსაზღვრულია პროექტის მიზნების, ამოცანების, მოსალოდნელი შედეგებისა და საქმიანობების რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები, ასევე მათი დადასტურების დოკუმენტების ჩამონათვალი.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი საქმიანობები, როგორებიცაა ტრენინგები, ფორუმები, კვლევა, პრეზენტაციები და ა. შ. რიგი აქტივობების მოდიფიკაცია მოხდა უშუალოდ გახორციელების პროცესში პარტნიორ და დონორ ორგანიზაციასთან შეთანხმებით. დაგეგმილი და მოდიფიცირებული საქმიანობების უმეტესობა განხორციელდა დროითი გეგმის შესაბამისად.

შეფასების მეთოდოლოგია

წინამდებარე შეფასება გახორციელდა 2016 წლის 22 ივლისი - 9 აგვისტოს პერიოდში. შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა „სამაგიდო კვლევის“ მეთოდი, რომლის ფარგლებში შესწავილ იქნა პროექტის გახორციელების პერიოდში მომზადებული დოკუმენტები, მათ შორის: შუალედური პროგრამული ანგარიშები; საინფორმაციო ბუკლეტები, ოფიციალური კორესპოდენცია, ფოტო-მასალა, პრეს-რელიზები და საინფორმაციო განცხადებები, პრეზენტაციები, სასწავლო მასალები და ა.შ.

მოპოვებული მონაცემებისა და მასალების პირველადი ანალიზისა და დაჯგუფების შემდეგ დაიგეგმა ინტერვიუები პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ბენეფიციარებთან.

სულ ჩატარდა ინტევიუ 14 პირთან, მათ შორის იყო უშუალოდ განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროექტის აქტიური მონაწილე - ფორუმის ფასილიტატორების სახით, და სხვადასხვა პირდაპირი ბენეფიციარები (ტრენიგების და ფორუმების მონაწილეები).

შეფასების პროცესის შეზღუდვები

- **დროითი ფაქტორი.** შეფასების ანგარიში მომზადებისათვის დადგენილი დრო არ იძლეოდა სრულფასოვანი და დეტალური შეფასების შესაძლებლობას მეტი რაოდენობის ინტერვიუების ჩატარებისა და შესაბამისი შედეგების დამუშავების კუთხით. პროექტი ითვალისწინებს დიდი რაოდენობით ბენეფიციარების ცნობიერებასა და ქცევაზე ზეგავლენას, თუმცა შეუძლებელი იყო მრავალფეროვანი ბენეფიციარებთან შეხვედრა და მათთან პროექტის შედეგების დეტალური განხილვა.
- **ხშირი საკადრო ცვლილებები.** ქ. ქუთაისის მერიაში და ასევე სხვა განმახორციელებელ ორგანიზაციებში ხშირად ხდებოდა კადრების ცვლილება და გადაადგილება. შეფასების პროცესში წარმოიშვა გარკვეული კითხვები და საკითხები, რომლებიც გარდა ფორმალური დოკუმენტაციის გაცნობისა, საჭიროებდნენ დამატებით განმარტებებს უფლებამოსილი პირებისაგან. რიგ შემთხვევებში მოხერხდა ყოფილ თანამშრომლებთან გასაუბება, თუმცა ამომწურავი განმარტებები ყველა საკითხის ირგვლივ მაინც ვერ მოგროვდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების განხორციელების მომენტისათვის, სიტუაცია გაცილებით მეტად სტაბილურია და ადგილობრივი ხელისუფლებაც მეტად იზიარებს და ღებულობდა თავის წილ პასუხისმგებლობას.

შეფასების მიზნები

- დადგინდეს რამდენად მოხდა მოსალოდნელი შედეგების მიღწევა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების გზით;
- შეფასდეს უშუალოდ საქმიანობების განხორციელების ეფექტიანობა განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად.
- შეფასდეს პროექტის სავარაუდო მდგრადობა;
- შემუშავდეს გაუმჯობესების რეკომენდაციები მსგავსი ტიპის საქმიანობების განხორციელების შემთხვევებისათვის.

შეფასების შედეგები

პროექტის მიზანი და ამოცანები

პროექტის ძირითადი მიზანია გაუმჯობესებული მთავრობა და საზოგადო ფინანსური მმართველობის მხარდაჭერა ქუთაისში გამჭირვალე ბიუჯეტით, საზოგადო პოლიტიკით და მმართველობის სერვისებით რომელიც საზოგადოების საჭიროებებზე, საზოგადოებრივი ლიდერების, სამოქალაქო ჯგუფების, ადგილობრივი მოქალაქეების, მედიის და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობაზე და ჩართულობაზე იქნება მორგებული.

დაბეჯითებით შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა საქმიანობებმა შექმნეს მნიშვნელოვანი პრეცედენტები და მოხდა ნათელი დემონსტრირება იმისა, რომ მოსახლეობის ჩართულობის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით შესაძლებელია საჯარო ფინანსების მართვის პროცესში მოხდეს ადგილობრივი საჭიროების იდენტიფიკაცია და გათვალისწინება.

თუმცა, არ იქნებოდა მართებული იმის თქმა რომ დეკლარირებული მიზანი სრულიად მიღწეულია და ამ მიმართულებით დამატებითი ძალისხმევის გაწევა აღარაა საჭირო.

მიზნის მიღწევა გრძელვადიან პერიოდში და შესაბამისად პროექტით მიღწეული შედეგების მდგრადობა მეტწილად დამოკიდებულია ქ. ქუთაისის მერიაზე, მათ შემდგომ გადაწყვეტილებებსა და საუკეთესო პრაქტიკისა და აკუმულირებული გამოცდილების სისტემურ დანერგვაზე.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში შეიქმნა და მოხდა მოქალაქეთა ჩართულობის უზურნველყოფის ისეთი ინსტრუმენტების ტესტირება, როგორებიცაა კვლევა, ფორუმები, უნარების ზრდის აქტივობები და ა.შ.

„დღეს მოსახლეობა მაინც არაა მზად მიიღოს სწორი გადაწყვეტილება რეალურად პრიორიტეტული საჭიროების შესახებ, ამ მიმართულებით ბევრი რამაა გასაკეთებელი, მათ შორის მოქალაქეთა განათლების დონისა და ინფორმირებულობის კუთხით.“ - ფორუმის ფასილიტატორი

„მეტი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მთავრობამ და ხელი შეუწყოს პრობლემების გადაწყვეტას. ინფრასტრუქტურული მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მეტი სამუშაო ადგილი და ჯანსაღი გარემო უნდა შეიქმნას, რომ ჩვენ უბრალო ადამიანებმა მივიღოთ სარგებელი. ამიტომ ასეთი პროექტების ძალიან საჭირო და სასარგებლოა“ - მოქალაქე.

„ამ პროექტმა ბევრი მოქალაქის აზრი შეცვალა, გაჩნდა ნდობა საჯარო პროცესების მიმართ - არა ყოვლისმომცველი, მაგრამ ამის ელემენტები აშკარად გამოიკვეთა; ასევე შეიცვალა თვითონ საჯარო მოხელეების დამოკიდებულებაც და აღქმაც“ - ფორუმის ფასილიტატორი

პროექტის სფეციფიკურ ამოცანებად განისაზღვრა:

- ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების გადამზადება, რათა უფრო ეფექტურად ითანამშრომლონ მოქალაქეებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომ ერთობლივად მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში.
- სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედიის უნარების ამაღლება სამიზნე ჯგუფების იტერესების უკეთ გამოხატვის მიზნით.
- მოსახლეობის უნარჩვევების გაძლიერება და ამაღლება მათი საზოგადოებრივ განხილვებში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.
- შედეგზე ორიენტირებული დიალოგის ხელშეწყობა მოსახლეობის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ამ უკანასკნელის ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით

პროექტით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელების შედეგად სპეციფიკური ამოცანები თითქმის სრულიადი ქნა მიღწეული. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისტემური ცვლილებების მისაღწევად და შედეგების ფართომასშტაბიანად დანერგვისათვის გრძელვადიანი და აქტიური მუშაობაა საჭირო.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული უნარების ზრდის ტრენინგები საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა და გარდა იმისა რომ მონაწილეებმა, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებმა მიიღეს კონკრეტული ცოდნა, მოხდა მათ შორის დიალოგის ფასილიტაცია და საერთო ენის გამონახვა. ტრენინგის მიწოდების გამოყენებული მეთოდოლოგია შეიძლება შეფასდეს როგორც ეფექტიანი და რეკომენდირებულია მსგავსი ტრენინგების სისტემატურად ორგანიზება. რამდენადაც ერთჯერადი ღონისძიების ეფექტი ვერ იქნება გრძელვადიანი.

ანგარიშვალდებულების ზრდისა და სამოქალაქო ჯგუფების აქტიური ჩართულობის ეფექტიან ინსტრუმენტად შეიძლება მოვიაზროთ სამოქალაქო ფორუმები, რომლებიც წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას როგორც მოქალაქეებისათვის - დღის წესრგში დააყენონ მათთვის ატქუალური საკითხები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის - ჩააბარონ ანგარიში საკუთარ მოსახლეობას რა იქნა შესრულებული და როგორია განვითარების ხედვა.

დეკლარირებული ამოცანების შესრულების კუთხით განსაკუთრებული როლი ენიჭება მედიას, მათ შორის ადგილობრივ მედიას. პროექტის ფარგლებში განხორციელებული

საქმიანობები საკმაოდ კარგად იქნა გაშუქებული ადგილობრივი ტელევიზიის, რადიოსა და პრესის საშუალებით, ასევე პროექტის პერსონალი აქტიურად იყენებდა სოციალურ მედიას. ამ მიმართულებით, აუცილებლად უნა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ჟურნალისტების ინტერესი და მოტივაციის დონე კვლავ საჭიროებს გააქტიურებას და კარგი იქნება თუ მერია კონკრეტულ ღონისძიებებს დაგეგმავს მედიის როლის და შესაბამისად მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.

„ჩემი როგორც ქ.ქუთაისში მცხოვრები მოქალაქე, რომელიც დაინტერესებულია ქალაქის ბედით, ვფიქრობ მსგავსი სახის პროექტები მნიშვნელოვანია, რომელიც ორიენტირებულია მოქალაქეების ჩართულობაზე. ეს არის ახალი პრაქტიკა რომელიც დაინერგა და იმედი მაქვს მომავალშიც გაგრძელდება.“ - მოქალაქე. პროექტის ბენეფიციარი

„მივესალმები მხოლოდ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს , რომელიც გვიზიარებენ გამოცდილებას რათა უკეთესი გარემო შეიქმნას და მიეცეს მოსახლეობას საკუთარი აზრის ნათლად გამოხატულების შესაძლებლობა.“ - მოქალაქე, პროექტის ბენეფიციარი

მოსალოდნელი შედეგები და დაგეგმილი საქმიანობების შესრულება

მოსალოდნელი შედეგების მიმოხილვა

საპროექტო წინადადებით განისაზღვრა შემდეგი მოსალოდნელი შედეგები.

მოსალოდნელი შედეგი 1:

- 1.1. ქუთაისის მთავრობის წარმომადგენლების უნარჩვევების გაძლიერება ჩართულობითი ბიუჯეტის საკითხებში, ფორუმის ორგანიზებაში და თემის მობილიზაციის საკითხებში მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდა.
- 1.2. მოსახლეობის საჭიროებებზე დამყარებული შეხედულებათა განსხვავებულობა განისაზღვრება ფორუმების, კვლევების და შეხვედრების საშუალებებით.
- 1.3. მოქალაქეები დიალოგების საშუალებით კომუნიკაციებს ამყარებენ მთავრობასთან.

მოსალოდნელი შედეგი 2: სათემო ორგანიზაციების და მოქალაქეთა პირდაპირი ჩართულობა ბიუჯეტის გადაწყვეტა-განხორციელება, მონიტორინგში, ხარჯვაში თემის საჭიროებების გათვალისწინებით.

მოსალოდნელი შედეგი 3; შეიქმნება, განხორციელდება და მონიტორინგი ჩატარდება გაუმჯობესებულ პროგრამებს და სერვისებს რომლებიც მიღებული იქნება ქუთაისის

ოფიციალურ პირებს და მოქალაქეებს შორის გაუმჯობესებული ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

მოსალოდნელი შედეგი:4: გადაწყვეტილების მიღების მდგრადი სისტემა რომელიც იმართება ადგილობრივი მთავრობის მიერ და ასევე შეიცავს არასახელმწიფო მოთამაშეების და მოქალაქეების ნააზრევს, ასევე მოხდება მრჩეველთა საბჭოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი 5. -ადგილობრივი მთავრობის და მოქალაქეების თანამშრომლობის ჰარმონიზება მოიტანს მოქალაქეთა ნდობას ადგილობრივი მთავრობის წინაშე და ასევე გაიზრდება ცოდნა საზოგადო აქტივობების და პროცესების მიმართ, რაც გააძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას.

განსაზღვრული შედეგების მისაღწევად გათვალისწინებული იყო რიგი აქტივობების განხორციელება. მათი ნაწილი ემსახურებოდა რამოდენიმე შედეგს ერთდროულად, ნაწილი კი კონკრეტული შედეგის ფარგლებში იყო დაგეგმილი.

საერთო ჯამში, მოსალოდნელი შედეგები ძირითად იქნა მიღწეული. თუმცა, საბოლოო ეფექტიანობის დადგენისათვის აუცილებელია გარკვეული დრო გავიდეს, რათა ნათლად მოხდეს დემონსტრირება იმისა, თუ რამდენად დაინერგა ესა თუ ის სერვისი და რამდენად გაუმჯობესდა მმართველობითი პროცესები მერიაში.

ფაქტია, რომ მოქალაქებსა და ოფიციალურ პირებს შორის დიალოგი შედგა, მოხდა მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული საკითხების, ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვა და მნიშვნელოვნად გაიზარდა პროცესში ჩართული პირების უნარ-ჩვევები და ა.შ.

სრულყოფილად ვერ იქნა მიღწეული ისეთი შედეგი, მაგალითად როგორიცაა “სათემო ორგანიზაციების და მოქალაქეთა პირდაპირი ჩართულობა ბიუჯეტის გადაწყვეტა-განხორციელება,” . რა თქმა უნდა საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეების ჩართულობას ადგილი ქონდა, თუმცა აუცილებელია ამ პროცესმა შეიძინოს სისტემური და გარკვეულწილად თვით ორგანიზირებადი ხასიათი. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი უშუალოდ მოქალაქეების მოტივაციის დონისა და შესაბამისად, ინიციატივების გამოჩენის კუთხით. ასევე საჯარო მოხელეებსაც ჭირდებათ დამატებითი უნარების ზრდა და ცოდნის გაღრმავება მონაწილეობით პროცესებზე.

პროექტით განსაზღვრული საქმიანობების უმეტესობა გეგმის შესაბამისად და დადგენილი ინდიკატორების სრული დაცვით განხორციელდა. ადგილი ქონდა რამოდენიმე ტექნიკურ უზუსტობას და რაოდებრივი ერთეულების ცვლილებას. (ყველა ასეთი საკითხი დეტალურადაა ქვემოთ განხილული);

ძირითადი საქმიანობების შეფასება

პროექტის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი საქმიანობები. ქვემოთ განხილულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებმაც განაპირობეს პროექტის შედეგიანობა, ასევე ის კომპონენტები, სადაც მოხდა მოდიფიცირება განხორციელების პროცესში.

კვლევა. საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებული მოსახლეობის კვლევის განხორციელება. პასუხისმგებელი პარტნიორი – LDCC.

კვლევის პირველი ტალღა განხორციელდა დროითი გეგმის შესაბამისად. ასევე წარმოდგენილია კითხვარი, კვლევის ანგარიში და პრეზენტაციები. გეგმის შესაბამისად ჩატარდა კვლევის შედეგების პრეზენტაციები.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო წინადადებაში მითითებული იყო შერჩევის ზომა 9600, მოსახლეობის 6%. ხოლო კვლევის ანგარიშში კი მოცემულია 960 რესპონდენტის გამოკვლევის შედეგები. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოძიების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი ქონდა ტექნიკურ შეცდომას, რომელიც გამოსწორდა ევროკავშირის წარმომადგენელთან შეთანხმებით და მოხდა აქტივობის კორექტირება. პროექტის თავდაპირველი დირექტორის მერაბ მეშველიანის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, შერჩევის ზომის საკითხი შეთანხმებულ იქნა ჰელგა პენდლერთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე.



ობიექტურობის დაცვის მიზნით, უნდა აღინიშნოს, რომ შერჩევის ზომა 960 სავსებით საკმარისია რეპრეზენტატიული რაოდენობრივი კვლევის ჩატარებისათვის ქ. ქუთაისის 12 მუნიციპალურ ტერიტორიულ ერთეულზე.

რაც შეეხება კვლევის მეორე ტალღას, იგი უნდა განხორციელებულიყო მერიის სამსახურის მიერ 2015 წელს. მუნიციპალიტეტში მიმდინარე შიდა პროცესების გამო, ასევე ატესტაციების პროცედურების სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით ვერ მოხდა კვლევის ჩატარება დაგეგმილი ვადების დაცვით.

თუმცა, საგულისხმოა, რომ საერთო ჯამში ქ. ქუთაისის მერიის მიერ კვლევა ჩატარდა 2015 წლის ბოლო 2016 წლის დასაწყისში, რომლის საფუძველზეც მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის თვითშეფასების ანგარიში.

მართალია, აღნიშნულ კვლევას ვერ მივიჩნევთ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობად, მაგრამ პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსახლეობის ჩართულობის ინსტრუმენტების დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობაში. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ამოცანა მერიამ გამიოყენოს კვლევა როგორც გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი ბაზისი შესრულებულია.

პროექტის შეფასების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად გაზრდიდა საბაზისო და საბოლოო კვლევის ჩატარება. კერძოდ კი პროექტის ინდიკატორების მიხედვით კითხვარში შესაბამისი ბლოკის ჩამატებით. ეს მოგვცემდა საშუალებას მეტი სიზუსტით გაგვეზომა პროექტის შედეგები კონკრეტული რაოდენობრივი ინდიკატორების მიხედვით.

ტრენინგები. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 2 ტიპის ტრენინგი.

ტრენინგი პროგრამულ ბიუჯეტირებაში ჩატარდა 2014 წლის აგვისტო-სექტემბერის პერიოდში. ტრენინგის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია - **ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო**. 2 დღიანი ტრენინგი ჩატარდა 2 ჯგუფისათვის და ჯამში კურსი გაიარა 38-მა მონაწილემ. მონაწილეების რაოდენობაც და წარმომადგენლობაც შეესაბამება პროექტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. მონაწილეთა შორის იყვნენ:

- ქალაქ ქუთაისის მერიის თანამშრომლები ;
- ქალაქ ქუთაისის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები ;
- ქალაქ ქუთაისში მოღვაწე ადგილობრივი ჟურნალისტები ;
- ქალაქ ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;



ტრენინგის დღის წესრიგი და შესაწავლი საკითხების ჩამონათვალი სრულიად შეესაბამება პროექტის ამოცანებს. ამასთან, საგულისხმოა, რომ საკითხს - **მოქალაქეთა თანამონაწილეობა საბიუჯეტო პროცესში** - მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასწავლო პროგრამაში.

პროექტის მეორე ეტაპზე, ქ.ქუთაისი მერიის ორგანიზებით მ/წლის 6-7 აგვისტოს გაიმართა ტრენინგი მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი წევრებისათვის, სადაც განხილულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და კომპეტენციები, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების

პროცესში, პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპები, მონაწილეობითი ბიუჯეტირება და ა.შ.. სულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 15-მა სხვადასხვა პროფესიის ადამიანმა.

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებმა შეავსეს შეფასების კითხვარი. შედეგები ცხადყოფენ, რომ ისინი ძალიან კმაყოფილები არიან მიღებული ტრენინგებით.

მათ ასევე გამოხატეს რეკომენდაციები, თუ რა საჭიროებს გაუმჯობესებას. მათ მიერ მოწოდებულ



რეკომენდაციებიდან გამოსაყოფია 2 მიმართულება:

1. სასწავლო კურსის ხანგრძლივობა (2 დღე) არ იყო საკმარისი ინფორმაციის სრულყოფილად მიღებისა და გადამუშავებისათვის;
2. ბევრად ეფექტიანი იქნებოდა მსგავსი ტიპის სასწავლო კურსების გარკვეული პერიოდულობით მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი მომზადებულია და შევსებული სათანადო წესით.

როგორც ნინო თვალთვაძე (ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო) აღნიშნა, ტრენინგები ძალიან შედეგიანია ცოდნის მიწოდების და უნარ-ჩვევების ამაღლების კუთხით. მნიშვნელოვანია ასევე ის დამატებითი ეფექტი, რომელიც მოიტანა ყველა დაინტერესებული მხარის ერთ პროცესში მონაწილეობამ, როდესაც ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის და თვითმმართველობის წარმომადგენლები ერთად განიხილავდნენ პრობლემის მოგვარების გზებს, გაჩნდა მათ შორის საერთო პოზიციები, მოხდა მათი ურთიერთობის გაღრმავება შემდგომი დიალოგისათვის“

ფაქტია, რომ უნარების ზრდის აქტივობები საკმაოდ ეფექტიანი იყო, ამასთან დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ფარგლებში გაჩენილი რეზერვის თანხებით, სწორედ მსგავსი ტიპის ტრენინგების ჩატარება გადაწყდა. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ აქტივობის მაღალ მნიშვნელობას.

ტრენინგები ფორუმის ფასილიტატორებისათვის.



2 დღიანი ტრენინგი გაიარა 80 - ზე მეტმა მონაწილემ. ტრენინგის ძირითადი მიზანი იყო მოემზადებია მაღალი კვალიფიკაციის ფასილიტატორები ფორუმისათვის, რაც პირდაპირ პროპორციულად აისახა ფორუმის ფასილიტაციის ხარისხზე.

ტრენინგის მონაწილეების

განცხადებით, ტრენინგზე მიღებული ინფორმაცია მათ ძალიან დაეხმარათ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანად დაგეგმვასა და წარმართვაში ფორუმის მსვლელობის დროს.

უნდა აღნიშნოს რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც გადამზადდა კედელის ფარგლებში არიან ქ.ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის თანამშრომლები. შესაბამისად ასახვა მოხდა მერის ბრძანებით N2277 21/12/2015 (16 პირს) რომ აღნიშნულ სამსახურს დაევალა, რომ პროექტის დასრულების შემდგომ მოსახლეობასთან შეხვედრებისა და ფორუმების ორგანიზება.

მოსახლეობის ფორუმი.



თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ფორუმებს გადამწყვეტი როლი აკისრია პროექტის დასახული ამოცანების შესრულების კუთხით. ლოგიკურ ჩარჩოში მითითებული ინდიკატორების მიხედვით პროექტის განმავლობაში უნდა ჩატარებულიყო 12 ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა 1200 მოქალაქეს უნდა მიეღო. ფორუმის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციაა ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების

ცენტრი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებული მასალები, მათ შორის ანგარიშები, რეგისტრაციის ფორმები, ფოტომასალა სრულყოფილად და შემუშავებული და წარმოდგენილი ორგანიზაციის მიერ.

პროექტის ფარგლებში ჯამში ჩატარდა 10 ფორმი ნაცვლად 12-სა. ამასთან დაკავშირებით, ნათია ნამიჭიშვილი (ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის პროგრამების დირექტორი) განმარტავს: 2014 წლის დეკემბერში საანგარიშო ფორუმი ჩატარდა 4 ის ნაცვლად 2, რადგან საუნივერსიტეტო ფართი იძლეოდა მოსახლეობის დიდი ჯგუფისათვის ანგარიშის წარდგენის შესაძლებლობას. საკითხი სიტყვიერად შეთანხმებული იყო პროექტის მენეჯმენტთან და ევროკავშირის წარმომადგენელთან.

მიუხედავად იმისა, რომ ფორუმების რაოდენობა შემცირდა, ჯამში მონაწილეების რაოდენობამ დაგეგმილზე მეტი - 1400 პირი შეადგინა. შესაბამისად, რაოდენობის შემცირება მხოლოდ ტექნიკური ხასიათის მოდიფიკაციაა და მას შედეგიანობის თვალსაზრისით გავლენა არ ქონია. დეტალური ინფორმაცია ჩატარებული ფორუმების შესახებ შემდეგნაირია:



2014 წელი

4 ფორუმი–მოსახლეობის ჩართულობით, ბიუჯეტში მოსახლეობის წინადადებების გათვალისწინების მიზნით.

- ✓ **2014 წლის 18 ივლისი** - 162 მონაწილე, აქედან 45 - ქალი, 117 - მამაკაცი
<https://www.facebook.com/kedec.ge/photos/a.836783763001202.1073742070.3631492603.64657/836798229666422/>
- ✓ **2014 წლის 24 ივლისი** - 110 მონაწილე, აქედან 74 - ქალი, 36- მამაკაცი
- ✓ **2014 წლის 5 სექტემბერი** - 108 მონაწილე, აქედან 83 - ქალი, 25 - მამაკაცი
https://www.facebook.com/kedec.ge/photos/?tab=album&album_id=863400707006174
- ✓ **2014 წლის 12 სექტემბერი** - 134 მონაწილე, აქედან 84 - ქალი, 50 - მამაკაცი
https://www.facebook.com/kedec.ge/photos/?tab=album&album_id=866890309990547

2 საანგარიშგებო ფორუმი–ადგიობრივი თვითმმართველობის ანგარიში მოსახლეობის იდეების ბიუჯეტში ასახვის შესახებ

- ✓ 2014 წლის 9 დეკემბერი–146 მონაწილე
https://www.facebook.com/kedec.ge/photos/?tab=album&album_id=915607998452111
- ✓ 2014 წლის 12 დეკემბერი—215 მონაწილე
<https://www.facebook.com/kedec.ge/photos/a.917123864967191.1073742101.3631492603.64657/917123968300514/>

2015 წელი

4 ფორუმი–მოსახლეობის ჩართულობით, ბიუჯეტში მოსახლეობის წინადადებების გათვალისწინების მიზნით

- **2015 წლის 23 აპრილი** – 120 მონაწილე, აქედან 91– ქალი, 29 – მამაკაცი;
https://www.facebook.com/kedec.ge/photos/?tab=album&album_id=995669720445938
- **2015 წლის 28 აპრილი** – 155 მონაწილე, 117 – ქალი, 38 – მამაკაცი;
https://www.facebook.com/kedec.ge/photos/?tab=album&album_id=998228350190075
- **2015 წლის 7 მაისი** – 134 მონაწილე, 88 – ქალი, 46 – მამაკაცი;

https://www.facebook.com/kedec.ge/photos/?tab=album&album_id=1002588573087386

▪ **2015 წლის 14 მაისი** – 115 მონაწილე, 80 – ქალი, 35 – მამაკაცი;

https://www.facebook.com/kedec.ge/photos/?tab=album&album_id=1005816726097904

ფორუმის მონაწილეებიც და ფასილიტატორებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ ფორუმები იყო მაღალ დონეზე ორგანიზებული, კარგად დაგეგმილი და ასევე საკმაოდ კარგი გამოხმაურება ქონდა მედია-საშუალებების მხრიდან.

ფორუმების ჩატარების ყველაზე კონკრეტული და გაზომვადი შედეგია გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა ადგილობრივ ბიუჯეტში, რაზეც საკმაოდ შთაბეჭდავი შედეგი დადგა, კერძოდ პროექტის ფარგლებში ჯამში წარდგენილ იქნა 16 რეკომენდაცია, სადაც 13 იქნა გათვალისწინებულ. გამოკვეთილი პრიორიტეტული საკითხები შემდეგია:

ფორუმების შედეგად მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი პრიორიტეტები 2015 წლის ბიუჯეტისთვის:

1. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობი პროგრამების არარსებობა;
2. ახალგაზრდების გართობისა და თავისუფალი თავშეყრისთვის კეთილმოწყობილი ადგილების და რეკრეაციული ზონების სიმცირე; კულტურული, ხელოვნების, სამეცნიერო და სპორტული ღონისძიებების ნაკლებობა;
3. საბავშვო ბაღების ნაკლებობა, არასაკმარისი დაფინანსება მოქმედ ბაღებში;
4. გაუმართავი სანიაღვრე სისტემები და მოუწესრიგებელი შიდა გზები;
5. მოუწესრიგებელი საცხოვრებელი კორპუსები: სადარბაზოები, სახურავები, ფასადები;
6. საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა ტურისტულ და ქალაქის ცენტრალურ უბნებში;
7. სოციალური საცხოვრისის არარსებობა უსახლკარო მოსახლეობისათვის;

ფორუმების შედეგად მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი პრიორიტეტები 2016 წლის ბიუჯეტისთვის:

1. სასმელი წყლის შადრევნებისა და საპირფარეშოების არარსებობა ქალაქის ტერიტორიაზე
2. გაუმართავი სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები, მოუწესრიგებელი შიდა გზები და დატბორილი სარდაფები
3. მოუწესრიგებელი მიწისქვეშა გადასასვლელები, საგზაო ნიშნები, ავტოსადგომები და ტრანსპორტი
4. ახალგაზრდებისთვის რეკრეაციული ზონებისა და თავისუფალი დროის საინტერესოდ და ნაყოფიერად გატარებისთვის შესაბამისი ადგილების სიმცირე
5. სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის ტრანსპორტირებისა და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის თანადაფინანსებითი პროგრამების არარსებობა;
6. კულტურული ღონისძიებების და ფესტივალების ნაკლებობა

ზემოთაღნიშნული კონკრეტული შედეგებისა, ფორუმების ჩატარების შედეგად დადგა სხვა პოზიტიური შედეგები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ პროექტის მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში:

- მოსახლეობის ნაწილში გაჩნდა ნდობა სამოქალაქო ჩართულობის პროცესებისადმი და შესაბამისად,



შემცირდა ინდეფერენტული განწყობები;

- ფორუმის მონაწილეებმა, განსაკუთრებით საანგარიშო ფორუმებისა, საკუთარი თვალთ ნახეს, რომ მათ შეუძლიათ მიაღწიონ ცვილებს და დღის წესრიგში დააყენონ მათთვის აქტუალური საკითხები;
- მონაწილეება მიიღეს ცონდა და გამოცდილება, თუ რა ფორმით და როგორ შეიძლება ადგილობრივი საჭიროებების გაჟღერება და ხმის მიწოდება გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე;
- ამასთან მნიშვნელოვანია, რომ გაჩნდა უკვე გამოცდილი და შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი ფასილიტატორების ჯგუფი, რაც სხვა ორგანიზაციებს, მათ შორის, ქუთაისის მერიას უქმნის შესაძლებლობებს საუთარი ინიციატივით დაგეგმონ და ჩაატარონ მოსახლეობის ფორუმები;
- საანგარიშო ფორუმებმა ცხადყო, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს განუვითარდათ ჩვევები მოსახლეობასთან ანგარიშებისა;
- ფორუმებზე მიღებული დეტალური ინფორმაცია და განხილვები საჯარო მოხელეებს, მედიასა და არასამთავრო სექტორსაც აძლევს საშუალებას არა მხოლოდ მიიღონ მოსახლეობის საჭიროებების ჩამონათვალი, არამედ ზუსტად გაერკვნენ თუ რამ გამოიწვია ესა თუ ის პრობლემა, რა არის ძირითადი კონტექსტი და ა.შ.

ფორუმების ფასილიტატორებთან გასაუბრების შედეგად შემუშავდა **გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები მსგავსი ფორუმების ორგანიზებასთან დაკავშირებით:**

- მოსახლეობის, განსაკუთრებით დაინტერესებული და აქტიური მოსახლეობის ინფორმირებულობის მაღალი დონის უზრუნველყოფა;
- ფორუმების შესახებ ფართო მაშტაბიანი საინფორმაციო სარეკლამო კამპანიის ჩატარება, რაც კიდევ უფრო გაზრდის, ერთის მხრივ მოსახლეობის ინტერესს ამგვარი ღონისძიებების მიმართ, მეორეს მხრივ კი აამაღლებს საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობას და მოტივაციას ჩააბარონ ანგარიში ადგილობრივ მოსახლეობას უკვე არსებული მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ;
- საჭიროა ზოგადად სამოქალაქო აზროვნებისა და დამოკიდებულებების დონის ამაღლება, რაც ბუნებრივია საკმაოდ გრძელვადიანი და გამოწვევებით აღსავსე პროცესია;
- კარგი იქნებოდა ფორუმებში მონაწილეობის მიღებისათვის ალტერნატიული თანამედროვე ელექტრონული სისტემების დანერგვა და შესაბამისად ონლაინ რეგისტრაციის შესაძლებლობების შეთავაზება;
- მეტად უნდა მოხდეს წარმატების ისტორიების, კერძოდ კი ბიუჯეტში უკვე ასახული ადგილობრივი საჭიროებების პოპულარიზაცია და შესაბამისი ინფორმაციის მასობრივად გავრცელება, რაც გაზრდის ნდობას და ინტერესს ამგვარი ღონისძიებების მიმართ.

დაბეჯითებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოქალაქო ფორუმები არის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი ადგილობრივი თვითმმართვეობისა და მოსახლეობას შორის

დიალოგის წარმართვისა და შესაბამისად სამოქალაქო თანამონაწილეობის უზრუნველყოფისათვის.

ამასთან ნებისმიერმა ორგანიზატორმა - იქნება ეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო თუ სამოქალაქო ორგანიზაცია - აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- მოსახლეობის სამოქალაქო განათლების დაბალი დონე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების შესახებ ნულოვანი ან ძალიან ნაკლები ინფორმირებულობა;
- საჯარო პროცესებისადმი, და მმართველობის პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მიმართ ნდობის ძალიან დაბალი დონე;
- მოსახლეობის დაბალი მოტივაცია ჩაერთონ ადგილობრივი მმართველობის პროცესებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების შედარებით ნაკლები გამოცდილება და ცოდნის არასაკმარისი დონე თუ რა მეთოდებით და როგორ შეიძლება მოხდეს მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მრჩეველთა საბჭო

მრჩეველთა საბჭოს ფორმირება მოხდა 2014 წლის აპრილში. საბჭოში გაერთიანდა სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამასთან შეიქმნა საბჭოს დებულება, განისაზღვრა რა დეტალურად მისი უფლება-მოვალეობები. ამავე დებულებით განისაზღვრა საბჭოს ძირითადი მიზანი, კერძოდ კი: საბჭოს შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების) წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაცია ბიუჯეტის შედგენისა და ფორმირების პროცესში, წარმოდგენილი რეკომენდაციების დამუშავება, მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდა მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში.

2015 წლის ბიუჯეტში მოსახლეობის ფორუმებზე დაყენებული საკითხები აისახა სწორედ მრჩეველთა საბჭოს მიერ ქ. ქუთაისის მერის სახლებზე მომზადებული წერილის საფუძველზე, სადაც საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა საკითხთა ნუსხა, რომელიც წარმოადგენდა განსაკუთრებულ პრიორიტეტს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

განსაკუთრებულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პროექტის განხორციელების დასკვნით ეტაპზე მოხდა მრჩეველთა საბჭოს ინსტიტუციონალიზაცია. ქ. ქუთაისის მერის ბრძანებით N 2858 დამტკიცდა ქ. ქუთაისი მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. რომლის მიხედვითაც საბჭოს რაოდენობა განისაზღვრა 31 სხვადასხვა პროფესიის ადამიანით. საგულისხმოა რომ კანონში გენდერული ბალანსის დაცვაც მოეთხოვებათ რაც გათვალისწინებული იქნა ამ შემთხვევაშიც.

საინფორმაციო ბროშურები და მედია გაშუქება.

პროექტის ფარგლებში გამოიცა და გავრცელდა 3000-ზე მეტი საინფორმაციო ბუკლეტი, პროშურა და პოსტერი ქართულ და ინგლისურ ენებზე. შედგად დაინტერესებულ პირებს მიეცათ საშუალება მიეღოთ დეტალური ინფორმაცია პროექტისა და მისი მოსალოდნელი შედეგებისა თუ ატივობების შესახებ.



პროექტის წარმატების და ეფექტიანობის კუთხით მნიშვნელოვანი იყო მას-მედიის ინტერესი პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროდუქტების მიმართ. მედია გაშუქების მაჩვენებელი საკმაოდ კარგი იყო. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ ყველა მნიშვნელოვანი თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა აქტიურად შუქდებოდა და განიხილებოდა სოციალური ქსელის საშუალებით.

პროექტით გათვალისწინებული იყო 4 სატელევიზიო და 4 რადიო გადაცემა, რაც სრულყოფილად შესრულდა. გარდა ამისა, აქტიურად შუქდებოდა ამ პროექტის შესახებ ინფორმაცია, როგორც ადგილობრივ ისე რეგიონალურ მედია საშუალებებით. აგრეთვე იწერებოდა და ვრცელდებოდა მერიის ადგილობრივი პრეს- სამსახურის და ოფიციალური ვებ - გვერდის www.Kutaisi.gov.ge მეშვეობით.



პროექტის ფარგლებში შეიქმნა facebook გვერდი „ქუთაისი, ეს მუშაობს!“ სადაც აქტიურად იწერებოდა ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ატივობები. მასალაც შესაბამისად საკმაოდ მოცულობითია.



სიუჟეტების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის:

<https://www.facebook.com/MEGATVgeOfficial/videos/744448205619787/>
<https://www.facebook.com/MEGATVgeOfficial/videos/783370428394231/>
<https://www.youtube.com/watch?v=kBD05iNDBTE>
<http://old.megatv.ge/?p=7431>
<http://www.myvideo.ge/tv/rioni>
www.radiotavisupleba.ge/a/kutaisi/26779190.html

rionitv.com/index.php?do=static&page=about

<http://rionitv.com/index.php?newsid=2037>

<http://www.radiodk.ge/akhali-ambebi/politika/article/13050-radiogadacemaquthaisiesmushaobs>

სხვადასხვა ორგანიზაციების სოციალურ გვერდებზე, ოფიციალურ ვებგვერდებზე, საინფორმაციო პორტალებზე პროექტის ანდა მის ფარგლებში გახორციელებული ღონისძიებების შესახებ დაახლოებით 100-მდე პოსტია განთავსებული.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროექტის მედია გაშუქება საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობდა.

პარტნიორობა განმახორციელებელ ორგანიზაციებს შორის

პარტნიორობის ხარისხი ქ. ქუთაისის მერიასა და სხვა განმახორციელებელ ორგანიზაციებს შორის იყოს მეტწილად წარმატებული და გამართული. დისკომუნიკაციას ფაქტობრივად ადგილი არ ქონია. ასევე რესპოდენტების განცხადებით არ ყოფილა ინფორმაციის გაცვლის პრობლემა.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ ქ. ქუთაისის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა და პროექტის პერსონალმა წარმატებით გაართვა თავი კოორდინირებასა და ზოგად მენეჯმენტს.

მართალია არსებული პარტნიორები სხვადასხვა დროს იყვნენ ჩართულები პროექტის განხორციელების პროცესში, შიდა კომუნიკაციაში პრობლემა არ დამდგარა. ფორუმებსაც ესწრებოდა ყველა პარტნიორი ორგანიზაციები და ხშირად უწევდათ აღნიშნული პროექტის აქტივობებზე საუბარი.

პროექტის მდგრადობა

რთულია იმის მტკიცება, რომ პროექტი და შესაბამისად მიმდინარე ეტაპზე მიღწეული შედეგები აბსოლუტურად მდგრადია, თუმცა არსებობს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც შეგვიძლია თამამად დავასკვნათ რომ პროექტის ფარგლებში შექმნილი ძირითადი შედეგები მდგრადია.

მაგალითად მრჩეველთა საბჭოს შემთხვევაში მოხდა პროცესის ინსტიტუციონალიზაცია და საბჭოს განახლებული შემადგენლობა დამტკიცებულია ქ. ქუთაისის მერის ბრძანებით N 2858

მოქალაქეთა ჩართულობისა და მათი პოზიციის იდენტიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტი - მოსახლეობის კვლევა და შესაბამისი შედეგების ანალიზი - მერიის საკუთარი ინიციატივით გამოყენებულ იქნა 2016 წელს თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისას.

ბუნებრივია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები დამოუკიდებლად და საკუთარი რესურსებით ვერ მოახერხებენ ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორებიცაა ფორუმების ორგანიზება თუ უნარების ზრდის ტრენინგები, თუმცა ის გარემოება რომ ასეთი გამოცდილების მქონე ადგილობრივი ორგანიზაციები არსებობენ და მზად არიან განახორციელონ მსგავსი ინიციატივები გრძელვადიან პერიოდში დადებითად აისახება პროექტის მდგრადობაზე.

ამასთან ქ. ქუთაისის მერიის სამსახურები არ იშურებენ ძალისხმევას რათა პრაქტიკაში დანერგონ სამოქალაქო ჩართულობის მეთოდები, ისინი აქტიურად და ღიად თანამშრომლობენ ადგილობრივ სამოქალაქო სექტორთან.